მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

- პირადი უსაფრთხოება ფერმაში მუშაობისას
- ცხოველთა უსაფრთხოება ფერმაში
- უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

შრომის ჰიგიენა ჯანმრთლობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების დარგია, რომელიც პროფესიული დაავადებების პროფილაქტიკაზეა მიმართული.

ჯანმრთელობისთვის საშიში ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული დარღვევები და დაავადებები შესაძლოა გამოვლინდეს ან დაუყოვნებლივ, ან ზემოქმედების შეწყვეტიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ.

ასეთი სახის დაავადებებს - პროფესიულ დაავადებებს უწოდებენ, რადგან გამომწვევ მიზეზებს სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხის შემცველი ფაქტორები წარმოადგენენ.

შრომის ჰიგიენის მიზანია მოახდინოს სამუშაო ადგილზე არსებული ან სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ისეთი გარემო ფაქტორების პროგნოზირება, გამოვლენა, შეფასება, ინფორმირება და კონტროლი, რომლებიც არსებით საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთლობასა და კეთილდღეობას.

აღნიშნული ფაქტორები შემდეგ კატეგორიებად იყოფა: ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური და ა.შ.

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

ჯანმრთელობისთვის საშიშ თითოეულ ფაქტორს გააჩნია შესაბამისი წყარო (აგენტი)

მერძეულ ფერმაში არსებული საფრთხის შემცველი ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ შემდეგი აგენტები:

- მავნე და მხუთავი აირები, კერძოდ სილოსის ფერმენტაციის დროს წარმოქმნილი(CO_2) ნახშირორჟანგი და აზოტის დიოქსიდი (NO_2),
- ნაკელსაცავში დაგროვებული ამიაკი (NH_3), გოგირდწყალბადი (H_2S), მეთანი (CH_4) და სხვა;
- ცხოველთა სადგომებისა და დანადგარების რეცხვა/დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის გამოსაყენებელი საშუალებები და ა.შ
- ბიოლოგიური აგენტები (ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები, სპორები და ა.შ.)
- პესტიციდები;
  გამონაფრქვევი (ბენზინი, დიზელი)

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

ადამიანის ორგანიზმში საფრთხის შემცველი ქიმიური და ბიოლოგიური აგენტების შეღწევის ოთხი ძირითადი გზა არსებობს

სხვადასხვა ბაქტერიები, ვირუსები, სპორები, პესტიციდები, ენდოტოქსინები და სხვა

ამ გზით ხდება მერძეულ ფერმაში არსებული სხვადასხვა მავნე აირების, ორგანული/არაორგანული მტვრისა და ჰაერში არსებული სხვა მავნე ნივთიერებების ორგანიზმში მოხვედრა

პესტიციდები, ორგანული გამხსნელები

ნემსის ჩხვლეტით ჭრილობა, ნაკაწრი

ბიოლოგიური აგენტებით დაბინძურებული ნარჩენების მართვის მოთხოვნები

ბიოლოგიური აგენტებით დაბინძურებული ნარჩენების მართვისას აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით.

მათ შორის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N82 დადგენილებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/3198620?publication=0

დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით „ბიოლოგიურ აგენტებზე მუშაობის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“,

რომლის მთავარი მიზანია ბიოლოგიური აგენტების მართვასთან ან შენახვასა და დანადგურებასთან დაკავშირებული რისკების კონტროლი

აღნიშნული ტიპის ნარჩენები გატანამდე, თუ შესაძლებელია, შესაბამისად უნდა დამუშავდეს (ჩაუტარდეს დეკონტამინაცია და დეზინფექცია).

აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც დაწვრილებით იქნება აღწერილი დეზინფექციისა და დეკონტამინაციის მეთოდები

იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ბიოლოგიური აგენტ(ებ)ით დაბინძურებული ნარჩენების ეფექტური დამუშავება, ნარჩენები უნდა შეიფუთოს დადგენილი წესების დაცვით და ასეთი სახით მოხდეს მისი ინსინერატორში გადატანა,

(ინსინერაცია - ნარჩენების თერმულად დამუშავების პროცესია, რომელიც მოიაზრებს მასში არსებული ორგანული მასალების დაწვას)

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა



დაუშვებელია გამოყენებული საინექციო ნემსების კვლავ თავსახურით დახურვა, გაღუნვა და /ან მათი ერთჯერადი შპრიცებიდან მოძრობა. ისინი დაუშლელად უნდა მოთავსდეს შესაბამის ბასრი საგნებისათვის განკუთვნილ კონტეინერში

ბასრი ნარჩენების კონტეინერის ნაგავსაყრელზე გადაგდება აკრძალულია.

ერთჯერადი კონტეინერი უნდა იყოს მყარი და ჩხვლეტისადმი გამძლე.
არ შეიძლება კონტეინერის ¾-ზე მეტად ავსება.

დასაქმებულთა ჯანმრთელობა, ქცევა და პირადი ჰიგიენა

ფერმაში სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უნდა წარმოებდეს დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ყოველდღიური შემოწმება/აღრიცხვა და საეჭვო სიმპტომების მქონე პირების სამუშაო პროცესისგან იზოლირება

#	სახელი გვარი	თვე _ _ _ _ _ _ 202_																													
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1																															

პირობითი აღნიშვნები: ჯმ - ჯანმრთელი, დ - დასვენების დღე, მს - მოცილებული სამუშაოდან, შვ - შვებულება

- დაბინძურების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს დასაქმებულის ტანსაცმელი, ხელები/ხელთათმანები, ამიტომ ყველა დასაქმებული მკაცრად უნდა იცავდეს ჰიგიენას
- სამუშაოს დაწყებამდე დასაქმებულებმა უნდა გამოიცვალონ გარე ტანსაცმელი და ჩაიცვან სამუშაოების შესაბამისი სპეც. ტანსაცმელი/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- ხელების დაბანა ან/და ხელთათმანების გამოცვლა საჭიროა:
- სამუშაოების დაწყების წინ, სამუშაო აქტივობის შეცვლის დროს (მაგ., სადგომში მუშაობის შემდეგ, საწველ დარბაზში სამუშაოდ გადასვლა ან შესვენებიდან დაბრუნება და ა.შ

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

1. დაისველეთ ხელები გამდინარე თბილი წყლით

2. დაახსით ხელისგულზე თხევადი საპნის საკმარისი რაოდენობა

3. გაუსვით ხელისგულები ერთმანეთს, თანაბრად შეიზილეთ საპონი

4. დაიმუშავეთ ხელის ზურგები თითების გადაჯვარედინებით

5. ხელის გულები შეატყუპეთ და თითები გადააჭდეთ



6. გაისაპნეთ თითის ბალიშები ფრჩხილის ქვეშ

7. მუჭის წრიული მოძრაობით დაიმუშავეთ ცერა თითი

8. თითების წრიული მოძრაობით დაიმუშავეთ ხელის გულები

9. ჩამოიბანეთ ხელები გამდინარე წყლით

10. გაიმშრალოეთ ხელები ერთჯერადი ხელსახოცით

11. ონკანის დასაკეტად გამოიყენეთ იგივე ხელსახოცი

12. თქვენი ხელები უკვე სუფთაა და უსაფრთხო ☺

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

დაბინძურებული ხელთათმანები გარეცხეთ მათი ხელებიდან მოხსნამდე

ხელთათმანები თითების მხრიდან დაბლა ჩამოწიეთ

პირველი ხელთათმანი ჩამოწიეთ ისე რომ მინი მანჟეტი ფარავდეს მხოლოდ თითებს

მოიხენით მეორე ხელთათმანი პირველით, ხოლო პირველი ხელთათმანი თითებიდან თვითონ ჩამოსრიელებით

მოხსნილი ხელთათმანი დაიჭირეთ შიდა ნაწილით, მოერიდეთ ხელთათმანების გარე ნაწილთან შეხებას

სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების აუცილებლობა

რისკის შეფასება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საკმარისია, თუ არა უკვე მიღებული ზომები და დამატებით რა არის განსახორციელებელი, რათა დასაქმებულებს არ მიადგეთ ზიანი.

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

სამუშაო სივრცეში რისკის შეფასება

1 - საფრთხეების იდენტიფიკაცია

2 - პირთა წრის განსაზღვრა ანუ ვინ შეიძლება დაზარალდეს და როგორ

3 - რისკის შეფასება, საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა

4 - საკონტროლო ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი პირის და პრევენციული აქტივობების ვადების განსაზღვრა

5 - შედეგების დოკუმენტირება და მონიტორინგი

მერძეული ფერმის დასაქმებულთათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

ნიშანი / მნიშვნელობა			
თვალის დამცავის გამოყენება სავალდებულოა	დამცავი ჩაფხუტის გამოყენება სავალდებულოა	ყურის დამცავი საშუალების გამოყენება სავალდებულოა	დამცავი ფეხსაცმლის გამოყენება სავალდებულოა
დამცავი ხელთათმანების გამოყენება სავალდებულოა	დამცავი კომბინიზონის გამოყენება სავალდებულოა	საფეხმავლო გზა	ვალდებულების გამომხატავი ზოგადი აბრა (სადაც საჭიროა, მას სხვა ნიშანი უნდა ახლდეს თან)

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

სპეც ტანსაცმლის გამოყენება

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა



CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

ცხოველთა კეთილდღეობა

- **საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ თანახმად**
  https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659434?publication=15

ცხოველის კეთილდღეობა - ეს არის ცხოველის მოვლა-შენახვისა და ბუნებრივი ქცევისათვის საჭირო პირობების შექმნა, რომელიც მოიცავს ცხოველის საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობას, დაავადებისაგან, ტკივილისაგან, შიშისა და სხვა სტრესისაგან მის დაცვას.

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

კარგი კვება

- გახანგრძლივებული შიმშილისა და წყურვილის არ არსებობა

კარგი შენახვის პიროებები

- დასასვენებელი პირობები
- ტემპერატურული კომფორტი
- ადვილი გადაადგილება

შესაბამისი ქცევა

- შესაბამისი სოციალური და სხვა ტიპის ქცევის გამოხატვა
- ცხოველისა და ადამიანის კარგი ურთიერთობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ცხოველს არ ეშინია ადამიანის
- პოზიტიური ემოციური მდგომარეობა

კარგი ჯანმრთელობა

- დაავადებების , დაზიანებების არ არსებობა
- ტკივილის არ არსებობა კუდის მოჭრის, რქების მოცილების, კასტრაციის გამო

თავისუფლების 5 პრინციპი

- **„თავისუფლება“ წყურვილის, შიმშილისგან და ცუდი კვებისგან** - თავისუფალი წვდომა წყალსა და საკვებთან სრულფასოვანი ჯანმრთელობისა და ძხნეობის შესანარჩუნებლად;
- **„თავისუფლება“ დისკომფორტისგან** - შესაფერისი გარემო-პირობების უზრუნველყოფა თავშესაფრისა და კომფორტული მოსასვენებელი არეალის ჩათვლით;
- **„თავისუფლება“ ტკივილის, დაზიანებებისა (ტრავმების) და დაავადებებისგან** - დაავადების პრევენციის ან დროული დიაგნოსტიკისა და მოვლა-პატრონობის გზით;
- **ჩვეული ქცევის გამოხატვის „თავისუფლება“** - შესაბამისი სივრცის, მოწყობილობებისა და მის მსგავს ცხოველთან ურთიერთობის უზრუნველყოფის გზით;
- **„თავისუფლება“ შიშისა და ტანჯვისაგან** - ისეთი პირობების შექმნა და მზრუნველობა, რაც აარიდებს მათ ფსიქიკურ ტანჯვას.

ცხოველის უსაფრთხოება და ჰიგიენა

1. ფერმაში გატარდეს ვეტერინარული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ეპიზოოტიურ კეთილსაიმედობას;

2. დაუშვებელია სადგომის დაბინძურება საწარმოო და ბიოლოგიური ნარჩენებით

3. დაუშვებელია ვეტერინარული შემოწმების გარეშე სადგომში ცხოველების (ფრინველების) შეყვანა-გაყვანა;

4. სავალდებულოა უფლებამოსილი ორგანოს მითითებების შესრულება გადამდები სნეულებების პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციის მიზნით

5. ცხოველის (ფრინველის) მასობრივად დაცემის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს

6. უზრუნველყოფილ იქნეს დაავადებული ან დაავადებაზე საეჭვო ცხოველების იზოლირება

7. უზრუნველყოფილ იქნეს ცხოველთა მოვლა-შენახვის ზოოჰიგიენური პირობები

ძროხასთან უსაფრთხო მუშაობა

ზოგადად, ფერმაში მუშაობა და ცხოველებზე ზრუნვა, გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და რაც მეტი გვეცოდინება ცხოველების ქცევის შესახებ, მით უფრო ადვილია მსგავსი რისკების თავიდან აცილება.

იმისათვის, რომ წინასწარ განსაზღვროთ ან სწორად შეაფასოთ ძროხის შესაძლო რეაქციები, კარგად უნდა იცოდეთ მისი ქცევის და, კერძოდ, მის მიერ გარესამყაროს აღქმის თავისებურებები, რომელიც განსხვავებულია ადამიანისგან

ადამიანისა და პირუტყვის ხედვის არეალი

მნიშვნელოვანია, ცხოველთან მიახლოებამდე მასთან საუბარი

ადამიანის თვალები თავის წინა მხარესაა, პირუტყვის თვალები კი თავზე გვერდულადაა განლაგებული.

ძროხა, ხედვის არეალის უდიდეს ნაწილში, მხოლოდ ბუნდოვან სურათებს აღიქვამს.

მიუხედავად იმისა, რომ მას უნარი აქვს ამ არეალში მოძრაობა დააფიქსიროს, მას საკმაოდ უჭირს მისი იდენტიფიცირება და სილუეტებს ხშირად საფრთხედ აღიქვამს



ძროხა ადამიანზე გაცილებით უარესად ხედავს და საგნების მკვეთრად დანახვა მხოლოდ ექვსი მეტრის მანძილზე შეუძლია.



CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

უსაფრთხოება ცხოველთან მუშაობისას

მსხვილფეხა ცხოველის მოვლა

ძროხასთან მიახლოებისას ისე უნდა მოიქცეთ, რომ ცხოველი არ შეშინდეს, და არც თავს დაგესხათ
და არც უკან დაიხიოს.

როგორც წესი, პირუტყვიადამიანს გაურბის და იშვიათად თუ ესხმის მას თავს.

პირუტყვის მეპატრონის ხასიათის შეცნობა, პირუტყვის საქციელზე დაკვირვებითაა შესაძლებელი!

ურთიერთნდობა ადამიანსა და ცხოველს შორის აუმჯობესებს და ამარტივებს ურთიერთობას.

იმისთვის რომ თავიდან ავირიდოთ ცხოველის შესაძლო თავდასხმა, დროულად შევძლოთ ამოცნობა და სწორი რეაგირება საჭიროა :

თუ ძალიან მიუახლოვდებით ხბოს, რომელიც დედასთან იზრდება, ფური ინსტინქტურად ხბოს დაცვას შეეცდება და შესაძლოა თავს დაგესხათ

ცხოველს ეშინია და ცდილობს მოგერიდოთ. თუმცა, იმის გამო, რომ ამას ვერ ახერხებს (მაგალითად, კედლის გამო), იგი შესაძლოა თავს დაგესხათ

თუ პირუტყვს ნახირს მოაცილებთ, მას შიში უჩნდება და ისევ ნახირში დაბრუნებას შეეცდება

ცხოველის ფიქსაცია ხელით

იმისათვის, რომ ცხოველი ლაგამის გარეშე დააკავოთ, ერთი ხელით მისი ქვედა ყბა დაიჭირეთ, მეორე ხელით კი, საპირისპირო მხარეს მდებარე ყური.

თუ იმ ხელის ცერა თითს, რომლითაც პირუტყვის ქვედა ყბა გიჭირავთ, მას ყბებს შორის შეუცურებთ, ამით ცხოველის წინააღმდეგობას შეამცირებთ.

ცხოველის საბელით ფიქსაცია და ტარება

როდესაც ცხოველი თოკით მიგყავთ, თოკს ორივე ხელი მოკიდეთ.

კისერთან ახლოს მყოფი ხელით ცხოველის თავი ოდნავ ისე აწიეთ, რომ მას რეაგირების საშუალება შეუზღუდოთ.

წინ სიარულის დროს, თოკი არ შემოიხვიოთ ხელებზე, რათა საჭიროების შემთხვევაში, ხელის გაშვება მოახერხოთ.

თოკს ბოლოში კვანძი გაუკეთეთ, რათა ხელიდან არ გაგიცურდეთ

იმ შემთხვევაში თუ ცხოველი გაქცევას ცდილობს, თავი ქვევით დაუწიეთ.

საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ თქვენი სხეულის მთელი წონა.

არასდროს არ დადგეთ ცხოველის უკან, რადგან ყოველთვის არსებობს იმის შანსი, რომ ცხოველი გაიქცეს.

გაითვალისწინე !
ძროხა შეიძლება შეაშინოს!

- სწრაფად მიახლოებამ და მკვეთრმა მოძრაობამ
- შუქის ანარეკლმა წყალზე
- ძლიერმა შუქმა და კაშკაშა მზემ
- მეტალის ჟღარუნმა და მკვეთრმა ხმამ
- ძალიან ბნელმა შესასვლელმა
- აღელვებული ხალხის დანახვამ
- იატაკის საფარის ხშირად ცვლილებამ
- იატაკზე მიმოფანტულმა პატარა საგნებმა

დაიმახსოვრე!
თავის პოზია, როგორც თვითგამოხატვის საშუალება



1 ნორმალური პოზიცია

3 ძლიერი საფრთხე

5 მორჩილი მიდგომა



2 მცირე საფრთხე

4 ნდობა

6 ფხიზელი, ყურადღებიანია

ცხოველის ფიქსაცია ასევე შესაძლებელია სხვადასახვა საფიქსაციო საშუალებებით :

ბულის ცხვირის დამჭერი რგოლი და მაშა

ცხოველის საფიქსაციო დაზგა



ყოველდღიური რუტინიდან გამომდინარე, ხშირად გვავიწყდება რისკების სწორი შეფასება

პირუტყვის მიერ ადამიანისადმი მიყენებული ყველაზე ხშირი დაზიანებები:

- სისხლჩაქცევები მკლავებზე და ტანზე
- თვალის დაზიანებები რქებისა და კუდის დარტყმისგან
- ფეხის დაზიანებები ჩლიქის დარტყმის შედეგად

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL
ESTD 2017

მადლობა ყურადღებისთვის